პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 238 (10324)

პარასკევი, 7 ოქტომბერი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის ლ. ბ. პირსონის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვის საუბარი კანადის საგარეო საქმეთა მინისტრთან ლ. ბ. პირსონთან (1-ლი გვერდი).

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბ. პირსონი სსრ კავშირის დიდ თეატრში (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — **ბ. იაკობაშვილი.** — გავაუმჯობესოთ პარტიული ჯგუფების მუშაობა (მე-2 გვერდი).

მ. ზარანდია. — აღვკვეთოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევები (მე-2 გვერდი).

რ. ჯაველიძე. — სოციალისტური შეჯიბრების დროშით (მე-2 გვერდი).

ბერლინში ჩავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია (მე-3 გვერდი).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა მიიღო საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია (მე-3 გვერდი).

ზ. სიმონიშვილი. — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეექვსე წლისთავისადმი მიძღვნილი წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

ა. ბარამიძე, კ. მეტრეველი. — დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატარეთ საშემოდგომო თესვა

სასიხარულო ცნობები მოდის ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან. საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. კოლმეურნეები, მექანიზატორები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები თავდადებით შრომობენ, ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ახალ-ახალი წარმატებით შეხვდნენ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების (სიმინდის გარდა) სახელმწიფო გეგმა, მეჩაიეობის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე გაანაღდეს აგრეთვე ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ასევე წარმატებით არის შესრულებული საქართველოში ბრეშუმის პარკის დამზადების წლიური დავალება.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით იბრძვიან იმისათვის, რომ წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის მაღალ მოსავალს. კოლმეურნეები, მექანიზატორები, რომლებიც პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი, ბეჯითად შრომობენ, რომ საშემოდგომო კულტურები დათესონ მოკლე ვადებში და აგროწესების ყველა მოთხოვნათა მტკიცედ დაცვით.

გორის რაიონში საშემოდგომო ხვნა-თესვის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების ინიციატორად გამოვიდა ახალსოფლის მტს-ის მეცხრე სატრაქტორო ბრიგადის კოლექტივი. ბრიგადის წევრებმა წარმატებით გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულება საშემოდგომო ხვნის დარგში. ახლა ისინი მთელ ფართობს ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესავენ.

ახალქალაქის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თესვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს, ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებს 1 ოქტომბრისათვის თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 70,2 პროცენტით. ორგანიზებულად მიმდინარეობს თესვა საგარეჯოსა და დმანისის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში.

სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე დასახულ ამოცანებს შორის ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს საშემოდგომო თესვის შემჯიდროებულ ვადებში ჩატარებას. ოქტომბერი საშემოდგომო თესვის გეგმის შესრულებაში გადამწყვეტი თვეა. ამიტომ სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების ღონისძიებანი მიმართული უნდა იქნას თესვის მოკლე ვადებში ჩატარებისათვის.

ამასთან ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგან თესვის ამ გაცხარებულ დღეებში აგვიანებენ სათესლე მასალის სათეს კონდიციამდე აყვანას. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის თიანეთის, გორჯაანის, დუშეთის, გარდაბნის, მარნეულის, მესტიის, ამბროლაურისა და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობათა შესახებ. საკვირველია, რატომ ურიგდებიან ამ მდგომარეობას აღნიშნული რაიონების საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები? განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საშემოდგომო თესვისათვის მაღალხარისხოვანი თესლის დაჩქარებით მომზადებას, არ უნდა დაუშვან შემცირებული ნორმებით თესვა.

საქმის ინტერესი მოითხოვს გადაჭრით გაძლიერდეს თესვის ტემპი. ხაშურის, ადიგენის, თეთრი წყაროს, თელავის, ახმეტის, გარეუბნის რაიონების ცალკეული კოლმეურნეობები მოვალენი არიან გადაჭრით გააძლიერონ თესვა, ყველა საშუალება გამოიყენონ იმისათვის, რომ მტკიცედ დაიცვან თესვის საუკეთესო აგროტექნიკური ვადები, შემუშავებული ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

საშემოდგომო თესვის მაღალხარისხოვნად და სწრაფად ჩატარებაში გადამწყვეტი როლი მექანიზატორებს ეკუთვნით. მტს-ებს საბჭოთა სახელმწიფომ ჩაბარა პირველხარისხოვანი ტექნიკა. ეს მტს-ების მუშაკებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. ტექნიკის სრული სიმძლავრით ეამოყენება ხვნა-თესვის ვადების შემცირების საწინდარია. ფაქტები კი მოწმობენ, რომ ზოგან ტრაქტორები, სათესები სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული. ამ დღეებში „კომუნისტმა“ დაბეჭდა კორესპონდენცია იმის შესახებ, რომ ქარელის მტს-ში ადგილი აქვს ტრაქტორების, სათესების მოცდენას. ასეთ ფაქტებს ვხვდებით აგრეთვე თამარისის, მცხეთის და სხვა მტს-ებში. მტს-ების სამეურნეო, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები მოვალენი არიან იზრუნონ სატრაქტორო ბრიგადებში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ თვითეული მანქანა მაღალი წარმადობით მუშაობდეს, რომ თვითეული ტრაქტორისტი ყოველდღიურად ასრულებდეს გამომუშავების ნორმებს.

პურეულის მოსავლიანობის გადიდებაში დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა თესვის პროგრესული მეთოდი — ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვა. მაგრამ არის ფაქტები, როცა ამ მეთოდის შეუფასებლობას იჩენენ და ცალკეული მტს-ები აჭიანურებენ ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვას. მტს-ები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან ეფექტიანი ღონისძიებანი განახორციელონ საშემოდგომო კულტურების თესვისას ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად თესვის ხერხების ფართოდ გამოსაყენებლად.

სერიოზული ზიანი მოაქვს პურეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის თესვის აგროტექნიკის დარღვევას. ცალკეულ კოლმეურნეობებში კი მტს-ები უშვებენ ხვნა-თესვის აგროტექნიკის დარღვევებს. ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის კალინინის სახელობის, სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობებს ლენინგორის მტს-მა ხორბლის დასათესი ნაკვეთი ცუდად მოუხნა. კასპის რაიონის სოფელ ნიგოზას კოლმეურნეობაში 10 ჰექტარზე ხორბლის უკონდიციო თესლი დათესეს.

ეს ფაქტები მოწმობენ, რომ აგრონომები, მტს-ები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები სუსტ კონტროლს უწევენ მინდვრის სამუშაოთა ხარისხს. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ვალდებული არიან შეუპოვრად იბრძოლონ ხვნა-თესვის აგროწესების დაცვისათვის, უშუალოდ იმყოფებოდნენ მინდვრად და ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს თესვის საუკეთესოდ ჩატარებაში. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და კოლმეურნეობათა გამგეობები ვალდებული არიან დაიწუნონ ცუდად შესრულებული სამუშაო და, როგორც ამას სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება მოითხოვს, ხელმეორედ შეასრულებინონ სამუშაო იმ პირებს, რომლებმაც დაუშვეს აგროტექნიკის დარღვევა.

ამ დღეებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გადატანილ უნდა იქნას მტს-ების სატრაქტორო და კოლმეურნეობათა მემინდვრეობის ბრიგადებში, სადაც წყდება მომავალი წლის მაღალი მოსავლის მიღების ბედი. საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ყველა ნაცადი საშუალება. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად უნდა იყოს მიზანსწრაფული, პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისაკენ მიმართული, კონკრეტული და ქმედითი, კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის, სოფლის მეურნეობის თვითეული მშრომელის ამოცანებთან განუყრელად დაკავშირებული.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ვალია სათავეში ჩაუდგნენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა პატრიოტულ აღმავლობას, დარაზმონ მასები ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის და სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარმართონ საშემოდგომო თესვის მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩასატარებლად.

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბ. პირსონი სსრ კავშირის დიდ თეატრში

5 ოქტომბერს საღამოს კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბ. პირსონი მეუღლით და მისი თანმხლები პირები სსრ კავშირის დიდ თეატრში დაესწრნენ ლ. მინკუსის ბალეტ „დონ ჟიხოტს“.

ცენტრალურ ლოჟაში, რომელიც მორთული იყო კანადისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ლ. ბ. პირსონთან ერთად იყვნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის მინისტრი გ. მ. ორლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კანადაში დ. ს. ჩუვახინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი და სხვა ოფიციალური პირები.

სპექტაკლზე აგრეთვე იყვნენ კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჯ. ბ. კ. უოტკინსი და საელჩოს თანამშრომლები.

(საკდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★

მარგანეცის დატვირთვის მექანიზაცია

ჭიათურა, 6 ოქტომბერი. (საქდესი). ჭიათურის მაღაროებში ფართოდ ინერგება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია. ახლა აქ მუშაობს 128 მტვირთავი მანქანა, 56 სკრეპერი, რაც საშუალებას იძლევა მთელი დატვირთვის სამუშაოების ნახევარზე მეტი მექანიზებული წესით განხორციელდეს. ლენინის სახელობის მაღაროთასამმართველოში კი მარგანეცის დატვირთვა თითქმის მთლიანად მექანიზებულია.

ახალი ტექნიკა ინერგება დიმიტროვის სახელობის მაღაროთასამმართველოშიც. აქ „პმლ-4“ მარკის მტვირთავი მანქანების დანერგვამ მარტო წელს 70-ზე მეტი მუშა გაათავისუფლა სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად. ამას წინათ აქ დადგეს კიდევ ორი ახალი მძლავრი მტვირთავი მანქანა. ახალი „პმლ-5“. მარკის მტვირთავი მანქანები დაამონტაჟეს სტალინის სახელობის მაღაროთასამმართველოში.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციამ საშუალება მისცა ჭიათურელ მაღაროელებს 31 პროცენტით გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება 1950 წელთან შედარებით და მნიშვნელოვნად გაედიდებინათ მარგანეცის ამოღება.

დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილი პლენუმი

8 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა იწვევს საიუბილეო პლენუმს, მიძღვნილს დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავისადმი.

პლენუმს შესავალი სიტყვით გახსნის ს. ჭილაია. პლენუმზე წაკითხულ იქნება შემდეგი მოხსენებები: „დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“ (მომხსენებელი ს. ჩიქოვანი), „დავით გურამიშვილი უკრაინაში“ (მომხსენებელი პ. ტიჩინა), „საბჭოთა ხალხების მეგობრობა და გურამიშვილი“ (მომხსენებელი ნ. ტიხონოვი).

პლენუმზე გამოვლენ აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები და ქართველი მწერლები.

გრძელვადიანი კრედიტები კოლმეურნეობებს

ვანი, 5 ოქტომბერი. (საქდესი). რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსაგან 1.060 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი მიიღეს. ამ თანხებს ისინი ხარჯავენ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი გაფართოებისათვის, მეცხოველეობის აღმავლობისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობის გადიდებისათვის.

სოფელ სალხინოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ მიღებული კრედიტიდან მნიშვნელოვანი თანხა დახარჯა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის სრული მექანიზაციისათვის. სახელმწიფოსაგან სესხად მიღებული თანხებით მეცხოველეობის ახალი სადგომები ააშენეს სოფელ ციხესულორის მარქსის სახელობის და ქვედა ბზვანის კიკეიძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

დახმარება მრავალშვილიან და მარგოხელა დედებს

წალენჯიხა. (საკ. კორ.). რაიონის მრავალშვილიანმა და მარტოხელა დედებმა გასულ წელს სახელმწიფოსაგან დახმარების სახით 717.945 მანეთი მიიღეს. მიმდინარე წლის 8 თვეში დახმარების სახით გაცემულია 325 ათას მანეთზე მეტი თანხა.

სოფელ ლიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ლ. დიდიძეს 12 შვილი ჰყავს. მან სახელმწიფოსაგან 38.850 მანეთი მიიღო, აქედან 15.850 მანეთი ერთდროული დახმარების სახით. სოფელ ობუჯის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ლ. კაკაჩიას, რომელსაც 10 შვილი ჰყავს, სახელმწიფოსაგან დახმარების სახით მიღებული აქვს 29.525 მანეთი. სახელმწიფოსაგან ასევე დიდი დახმარება მიიღეს ათ-ათი შვილის დედებმა ტ. მებონიამ, ვ. ხულორდავამ და სხვებმა.

სიმინდი—ავანსად

ახმეტა (საკ. კორ.). კოლმეურნეობა „პირველი მაისი“ შარშანდელთან შედარებით წელს ოთხჯერ მეტ სიმინდს იღებს. რგოლმა, რომელსაც ნ. გელაშვილი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე 120 ცენტნერი სიმინდი აიღო. ასევე ისახელა თავი ი. კახიშვილის რგოლმაც.

ბევრმა კოლმეურნემ მიაღწია სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანას. ვ. ჭიღლაძემ მოსავლელად მიჩნეულ ნახევარ ჰექტარ სიმინდის ფართობზე 60 ცენტნერი მოსავალი მიიღო. მ. ქინქლაძემ ასეთსავე ფართობზე გეგმასთან შედარებით ხუთჯერ მეტი მოსაკალი მიიყვანა.

კოლმეურნეობა ორგანიზებულად შეუდგა სახელმწიფოსათვის სიმინდის ჩაბარებას. ამასთან სასიმინდეები პირამდე აავსეს, შესანახი ადგილიც არ არის. გამგეობამ ფადაწყვეტა ავანსად გასცეს სიმინდი. ა. ჩეკურიშვილს ოჯახმა რვა თვეში გამომუშავებულ შრომადღეებზე ავანსად 4.700 კილოგრამი სიმინდი მიიღო, ვ. ძებისაშვილის ოჯახმა — 2.530 კილოგრამი, ზ. გაგანაშვილმა — 2.800 კილოგრამი და სხვ.

ყვარელი (საკ. კორ.). შალდის კუთბიშევის სახელობის კოლმეურნეობა საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერ სიმინდს იღებს. სახელმწიფოს წინაშე ვალდებულების მოხდასთან ერთად კოლმეურნეობაში დაიწყო სიმინდის ავანსად გაცემა.

კოლმეურნე ი. გვიმრაძის ოჯახმა შვიდ თვეში გამომუშავებულ შრომადღეებზე 4.278 კილოგრამი სიმინდი მიიღო ავანსად. სიმინდი ავანსად მიიღეს აგრეთვე დ. ახალბედაშვილის, ჯ. ცისკარიშვილისა და სხვების ოჯახებმა.

ვ. მ. მოლოტოვმა საუზმე გამართა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის ლ. ბ. პირსონის პატივსაცემად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა 6 ოქტომბერს საუზმე გამართა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის ლ. ბ. პირსონის პატივსაცემად, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

საუზმეს დაესწრნენ კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბ. პირსონი და მისი თანმხლები პირები: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დ. ჰოლმსი, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. უ. შარპი, მრჩეველები გ. იგნატიევი და რ. კრეპო, აგრეთვე კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჯ. ბ. კ. უოტკინსი და საელჩოს 1-ლი მდივანი ჯ. ჯ. მ. კოტე.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მ. მალენკოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრი კ. დ. პეტუხოვი, სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრი ა. ა. იშკოვი, სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის მინისტრი გ. მ. ორლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კანადაში დ. ს. ჩუვახინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-2 განყოფილების გამგე ვ. ი. ეროფეევი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ი. ბობროვნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ი. ნ. იაკუშინი.

საუზმემ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ვ. მ. მოლოტოვის საუბარი კანადის საგარეო საქმეთა მინისტრთან ლ. ბ. პირსონთან

6 ოქტომბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს საუბარი ჰქონდა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრთან ლ. ბ. პირსონთან.

საუბარს კანადის მხრივ დაესწრნენ: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დ. ჰოლმსი, კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჯ. ბ. კ. უოტკინსი, მრჩევლები გ. იგნატიევი და რ. კრეპო.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კანადაში დ. ს. ჩუვახინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მე-2 განყოფილების გამგემ ვ. ი. ეროფეევმა.

ვ. მ. მოლოტოვის საუბარში ლ. ბ. პირსონთან შეეხნენ საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე მოხდა აზრთა გაცვლა საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. (საკდესი).

საგვირთო ტროლეიბუსები

ენგელსი, (სარატოვის ოლქი). (საკდესი). ურიცკის სახელობის ადგილობრივი ქარხანა დიდი საწარმოა, რომელიც უშვებს ტროლეიბუსებს. დიდი ამოცანები დაისახა კოლექტივმა მეექვსე ხუთწლედისათვის. გაუმჯობესებული სამგზავრო მანქანის მასობრივი გამოშვების გარდა, განზრახულია აითვისონ სამი ტიპის სატვირთო ტროლეიბუსების წარმოება.

შემუშავებულია „ფურგონის“ ტიპის მანქანის კონსტრუქცია, რომლის ტვირთამწეობა იქნება 6 ტონა. ტროლეიბუსს ექნება პროექტორები დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მოედნის გასაშუქებლად, მასზე დაიდგმება მძლავრი აკუმულატორები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მანქანას ცვლაში საათნახევარი საკუთარი სვლით, მავთულებთან უკონტაქტოდ იაროს. ამრიგად ელექტროქსელიდან გამოთიშვის შემდეგ „ფურგონი“ შეძლებს მიიტანოს ტვირთი საწყობებში, რომლებიც მნიშვნელოვანი მანძილით არის დაშორებული სატროლეიბუსო ხაზებს.

ქარხნის კონსტრუქტორებსა და მუშებს განზრახული აქვთ აგრეთვე მომავალ ხუთწლედში აითვისონ სატვირთო ტროლეიბუსი-ბაქანი, რომელსაც ექნება ორღერძიანი მისაბმელი. ამ ტიპის მანქანა განკუთვნილია უმთავრესად რკინიგზის კონტეინერების გადასაზიდად.

ურიცკის სახელობის ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა 1960 წელს ტროლეიბუსების გამოშვება მიმდინარე წელთან შედარებით გაადიდოს 80 პროცენტით.

ახალი სამდინარო თბომავალი

ომსკი. (საკდესი). ომსკის სამდინარო ნავსადგურში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოვიდა სამგზავრო თბომავალი „ლენინური კომკავშირი“, რომელიც აგებულია საბჭოთა კონსტრუქტორების ნახაზებით.

გემს მართავენ ავტომატურად — კნოპებზე ხელის დაჭერით. კომფორტაბელური კაიუტები თბოფიცირებულია და განათებულია დღის სინათლის ლამპებით, არის აგრეთვე ოთხი სამუსიკო და რესტორანის სალონი.

სამდინარო თბომავალმა წარმატებით გამოიარა ხუთი ათას კილომეტრზე მეტი გზა ხალტიის, თეთრი, ბარენცისა და კარის ზღვებით. ეს პირველი სამგზავრო თბომავალი ირტიშზე რეისებს ომსკიდან სალეხარდამდე ოთხი-ხუთი დღით უფრო ჩქარა შეასრულებს, ვიდრე ჩვეულებრივი სამგზავრო გემები.



თბილისის ავეჯის ახალ კომბინატში უშვებენ სადურგლო ფილებს, ხის გაკრიალებულ საწოლებს. მალე შეუდგებიან კარადებისა და საწოლი ოთახის გარნიტურის დამზადებას. კომბინატის კოლექტივი ჩაბმულია პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. სურათებზე: 1. სადურგლო ფილების საამქროს უფროსი გ. გიორგობიანი (მარცხნივ) და ინჟინერი გ. თორაძე ამოწმებენ დაწნეხილი ფილების ხარისხს. მართვის პულტთან არის მ. ლიტვინენკო. 2. კომბინატის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ა. კაკაბაძე (მარცხნივ) იღებს ხის საწოლებს მეჩუქურთმე ოსტატის ი. ჩოხელისა და ოსტატ ვ. ბილოვისაგან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პარტიული ცხოვრება

გავაუმჯობესოთ პარტიული ჯგუფების მუშაობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება მოითხოვს სამრეწველო საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომ ყოველმხრივ გაუმჯობესებას, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

საწარმოო გეგმების შესრულება, სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრა პირველ რიგში დამოკიდებულია ადამიანებზე. რაც უფრო კარგად არის დაყენებული ადამიანებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, მით უფრო შეგნებულად უდგებიან ისინი მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას. მასებთან ცოცხალი კავშირის განმტკიცებაში, ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი აკისრიათ პარტიულ ჯგუფებს.

როგორც ცნობილია, პარტიული ჯგუფი იქმნება ბრიგადის, აგრეგატის მიხედვით საამქროს პარტიული ორგანიზაციის შიგნით, აგრეთვე იმ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც აღრიცხვაზე იმყოფება ასზე ნაკლები კომუნისტი. პარტიული ჯგუფი ყველაზე უფრო ახლო დგას წარმოებასთან, მუშებთან, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან. მას საშუალება აქვს თვალყური ადევნოს მის სამოქმედო უბანზე მყოფ ყველა მუშასა და ინჟინერს, ფართო ზეგავლენა მოახდინოს უპარტიო მასებზე, წარმოების პროცესშივე შეამჩნიოს ნაკლოვანებანი და უსწრაფესად აღმოფხვრას იგი.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სისტემატურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევდნენ პარტიულ ჯგუფებს, აძლევდნენ მათ რჩევა-დარიგებას, მტკიცედ ნერგავდნენ მათში მუშაობის საუკეთესო ჩვეულებსა და მეთოდებს. პარტიული ჯგუფების ყოველმხრივ განმტკიცება, მათი პოლიტიკური და ორგანიზატორული როლის შემდგომი ამაღლება სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა. იმისათვის, რომ პარტიულმა ჯგუფმა შეძლოს მასების დარაზმვა საწარმოო გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საჭიროა მისი თვითეული წევრი, ყველა კომუნისტი იძლეოდეს მაღალსაყოფიერი, თავდადებული შრომის მაგალითს. პარტიული ჯგუფი პასუხისმგებელია არა მარტო თავისი უბნის მდგომარეობისათვის, არამედ ამასთან ერთად იგი მოწოდებულია ღრმა ინტერესს იჩენდეს მეზობელი უბნის საქმიანობისადმი, აჰნევდეს ნაკლოვანებებს და იბრძოდეს მათი გამოსწორებისათვის.

თბილისის სამრეწველო საწარმოთა პარტიული ჯგუფები აქტიურ ბრძოლას ეწევიან პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საწარმოო გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და წარმოებაში შრომის ახალი მეთოდების დანერგვისათვის. მათს უმრავლესობას სწორად აქვს გაგებული თავისი უფლება-მოვალეობანი და არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებით აღწევს მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხნის საამქროებში შექმნილია 4 პარტიული ჯგუფი. ისინი სისტემატურად იწვევენ კომუნისტთა კრებებს, განიხილავენ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, საწარმოო გეგმების შესრულების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, დაზგა-დანადგარების მოვლა-პატრონობის, შრომის დისციპლინის განმტკიცების და სხვა საკითხებს. სისტემატურად ეწყობა გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, კომუნისტები გულისხმიერად ეკიდებიან ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს და ნერგავენ წარმოებაში. კრებაზე მიღებული დადგენილების განხორციელებისათვის ყოველდღიურად ზრუნავს პარტიული ჯგუფის თვითეული წევრი. სწორედ ამის შედეგია, რომ კომუნისტებისა და უპარტიოების უმრავლესობა 250-300 პროცენტით ასრულებს ყოველთვიურ საწარმოო დავალებას.

მაუდ-კამოლის კომბინატის საქსოვი საამქროს მოსამზადებელი განყოფილების პარტიული ჯგუფი როგორც მტკიცედ დარაზმული კოლექტივი, აქტიურად იბრძვის განყოფილების წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის. ამითაც აიხსნება, რომ მოსამზადებელი განყოფილება ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს გეგმას.

პარტიული ჯგუფის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არის იგი შექმნილი წარმოების ამა თუ იმ უბანზე და რამდენად მეტი ზემოქმედების საშუალება ეძლევა მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებზე. პარტიულ ჯგუფში იმ კომუნისტების გაერთიანება, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ უშუალოდ კოლექტივთან, ეწინააღმდეგება პარტიული ჯგუფის მუშაობის პრინციპს.

არის შემთხვევები, როდესაც პარტიული ჯგუფები შექმნილია ფორმალურად. მაგალითად, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის სამმართველოსთან შექმნილი პარტიული ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებული არიან აპარატში მომუშავე კომუნისტები, გასული წლის ნოემბრიდან დღემდე მხოლოდ ერთხელ შეიკრიბა და განიხილა ასეთი საკითხი — „საგარეო მუშაობის და შრომის დისციპლინის შესახებ“. პარტიული ჯგუფი ამ საკითხის ფორმალური განხილვით დაკმაყოფილდა, აღნიშნა, რომ საგარეო მუშაობაში არსებობს ნაკლოვანებანი, ხოლო შემდეგ ზომები არ მიუღია მათი გამოსწორებისათვის.

პარტიული ჯგუფების უპირველესი მოვალეობაა მოაწყონ და უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას. კომუნისტები უნდა იდგნენ შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებისათვის ბრძოლის სათავეში. მაგრამ შემოწმებამ ცხადყო, რომ პარტიული ჯგუფების საგრძნობი ნაწილი სუსტად მუშაობს შრომის სოციალისტური მეთოდების წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მიერ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა განაღდებისათვის. ფანერის ქარხნის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს და ლითონის კონსტრუქციების ქარხნის ზოგიერთ საამქროში სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ზოგიერთ ქარხანაში, ფაბრიკასა და საამქროში ძალიან გვიან ადგენენ ცნობებს სოცშეჯიბრების მიმდინარეობაზე და შედეგების განხილვა ფორმალურ ხასიათს იღებს. ლითონკონსტრუქციების ქარხანაში სოციალისტური შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგები განხილულ იქნა ივნისში.

ცალკეულ შემთხვევებში პარტიული ჯგუფები არ არიან გარკვეული თავიანთ უფლება-მოვალეობაში და ზოგჯერ კრებებზე ისეთ საკითხებს განიხილავენ, რომლებიც მათს უფლებას აღემატება. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის სარემონტო-საიარაღო საამქროს პარტიული ჯგუფი. პარტიული ჯგუფის კრებაზე აქ განიხილეს საკითხები: „ქარხნის მიერ 1954 წლის საწარმოო გეგმის შესრულების შესახებ“, „ქარხნის პერსპექტივები და სარემონტო-საიარაღო საამქროს მუშაობა“ და სხვ. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პარტიული ჯგუფი ასცდა თავის პირდაპირ მოვალეობას. ზოგჯერ პარტიული ჯგუფის კრებას აძლევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრების ხასიათს. ამა თუ იმ საკითხის ცოცხლად განხილვისა და ოპერატიულად გადაჭრის მაგივრად იღებენ ვრცელ დადგენილებებს, ამავე დროს მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ცვლიან მიშველი ადმინისტრირებით. მაუდ-კამოლის კომბინატის კამოლის საამქროს საგრეხი განყოფილების პარტიულმა ჯგუფმა განიხილა დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საკითხი. ნაცვლად იმისა, რომ შეესწავლა წუნდებული პროდუქციის გამოშვების მიზეზები და მიეღო ოპერატიული ზომები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, პარტიული ჯგუფის კრება დადგენილების მიღებით დაკმაყოფილდა.

ეს ფაქტები იმას მოწმობენ, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პარტიული ჯგუფების მუშაობას, იშვიათად აწყობენ პარტჯგუფორგანიზატორებისათვის საინსტრუქტაჟო თათბირებს, სემინარებს და ინდივიდუალურ საუბრებს, პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე არ ისმენენ პარტჯგუფორგების ანგარიშებს, არ ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ამჟამად პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა მაღალი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები. პარტიული ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესების, მათი ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლების საკითხები საანგარიშო-საარჩევნო კრებების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

ბ. იაკობაშვილი,
საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი.

სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს მებრძმედეები ჩაბმული არიან პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვიან მეტი და მაღალხარისხოვანი თუჯის გამოშვებისათვის. **სურათზე:** (მარჯვნიდან მარცხნივ) მეორე მებრძმედე ო. ლომიძე, მესამე მებრძმედე გ. მასხარაშვილი და მეოთხე მებრძმედე შ. სოსაძე, რომლებიც შრომითს ვახტზე დგანან და დღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ინსტიტუტის ბრიგადა მაღაროებში

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროებში სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის ბრიგადა, რომელსაც ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ზურაბიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადაში არიან ვ. კალანდაძე, ა. მიქელაძე, ვ. ცერცვაძე და სხვ. მეცნიერი მუშაკები საცდელ-საკვლევ მუშაობას ეწევიან ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროს მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ინსტიტუტის მუშაკები ამუშავებენ მარგანეცის სამადნეში ლავის ოპტიმალური სიგრძის განსაზღვრის, მაღაროს ჭერის მართვის, მადნის დატვირთვა-გამოზიდვის მექანიზაციის გაუმჯობესების საკითხებს.

ბრიგადამ გამოსცადა მძლავრი ჯალამბარი, რომლის გამოყენებით 30-40 პროცენტით იზრდება სასკრეპერო დანადგარის წარმადობა. ცდებმა დაადასტურა, რომ ახალი მოწყობილობა განსაკუთრებით ნაყოფიერია ლავების მექანიზაციის დროს.

სპირალური ჩამოსაშვები

ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა აითვისა ახალი ტიპის სპირალური ჩამოსაშვები შახტებში ნაყარი ტვირთის სართულთაშორისი ტრანსპორტირებისათვის. მისი გამოყენება ერთიორად დააჩქარებს ტვირთის ტრანსპორტირებას.

უკვე დამზადებულია სპირალური ჩამოსაშვების სამი კომპლექტი, რომლებიც ამ დღეებში გაეგზავნება „ეიორშალოვუგოლის“ და „ჩისტიაკოვუგოლის“ ტრესტებს.

სოციალისტური შეჯიბრების [illegible]

თელეთის მტს-ის კოლექტივმა სასიხარულო ცნობა მიიღო: საკავშირო პროფესიულმა საბჭომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1955 წლის პირველი ნახევრის სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს თელეთის მტს-ი (დირექტორი ამხ. ა. ჩარკვიანი, პარტიის რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში ამხ. ბ. სონდულაშვილი) და მიაკუთვნეს მას მეორე ადგილი და ფულადი ჯილდო.

ასრულებდნენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, თელეთის მტს-ის მექანიზატორებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დატვირთვის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში.

სამეურნეო წლის 8 თვეში ჩატარებულია 3.500 ჰექტარით მეტი სამუშაოები, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. ტრაქტორების დატვირთვის წლიური გეგმა შესრულებულია 133 პროცენტით.

შრომის სწორი ორგანიზაციისა და მანქანების გონივრული გამოყენების შედეგად მიღწეულია სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება. მტს-ს ამჟამად აქვს 29.200 მანეთის ფულადი და მატერიალური სახსრების ეკონომია.

გასულ სამეურნეო წელს მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა დათესეს 3.919 ჰექტარი თავთავიანი კულტურები, აქედან ჯვარედინად 2.795 ჰექტარი.

მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის გეგმა შესრულდა 151,3 პროცენტით. განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწია ამ მხრივ მეორე სატრაქტორო ბრიგადამ, რომელიც მომსახურებას უწევს თელეთის კოლმეურნეობას. ამ კოლმეურნეობაში თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 17,8 ცენტნერი მოსავალი, რაც გეგმის 172 პროცენტს შეადგენს. ასევე წარმატებებს მიაღწია კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 17,7 ცენტნერი მოსავალი მიიღეს.

ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე წელს მტს-მა 2.800 ჰექტარის ნაცვლად მოსავალი აიღო 3.709 ჰექტარზე. კომბაინერთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში [illegible] ი. ჯამალაშვილმა, ა. ავეტიქოვმა, გ. ბადალოვმა, შ. ოლქიევმა და სხვებმა.

მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა წარმატება მოიპოვეს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების დარგშიც. წველადობაში წლიური გეგმა უკვე ივლისში შესრულეს. ერთ საფურაჟე ძროხაზე ნაცვლად 1.092 ლიტრისა მიღებულია 1.350 ლიტრი რძე.

წველადობის საქმეში კარგი მაჩვენებლები აქვს ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. მიგრიაული), სადაც ერთ საფურაჟე ძროხაზე 1 სექტემბრისათვის მიღებულია 2.600 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.200 ლიტრისა. კუმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. რაზმაძე) დაგეგმილი 1.050 ლიტრის ნაცვლად მიღებულია 1.672 ლიტრი რძე. განსაკუთრებით მკვეთრ გარდატეხას მიაღწიეს ამ მხრივ თელეთის (თავმჯდომარე შ. გურულიშვილი) და ტაბახმელის ორჯონიკიძის სახელობის (თავმჯდომარე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დ. ცხომარია) კოლმეურნეობებმა.

თელეთის კოლმეურნეობამ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღო 1.200 ლიტრი რძე, რაც ორჯერ აღემატება გასული წლის დონეს და მომდინარე წლის დავალების 150 პროცენტს შეადგენს. ტაბახმელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც გასულ წელს ვერ შეასრულა წველადობის გეგმა, 1955 წლის 1 სექტემბრისათვის ძროხაზე 230 ლიტრით მეტი რძე მიიღო, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

მტს-ის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეობების გამგეობებთან მჭიდრო კავშირში იბრძვიან პირუტყვის საკვებით უზრუნველსაყოფად. მტს-ი თავისი ზონის კოლმეურნეობებში 1.500 ტონის ნაცვლად 2.500 ტონა სილოსს დაამზადებს. მექანიზატორთა ძალებით უკვე დამზადებულია 1.700 ტონა სილოსი.

თელეთის მტს-ისათვის საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალი ჯილდოს მიკუთვნება ემთხვევა სამეამოდგომო სამუშაოთა პერიოდს. მტს-ში ფართოდ გაჩაღდა სკკპ XX ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მექანიზატორებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი და გამოიწვიეს დიმის და მარტყოფის მტს-ების კოლექტივები.

რ. ჯაველიძე,
თელეთის მტს-ის პარტბიუროს მდივანი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ონის რაიონის ზოგიერთ სკოლაში რუსული ენის სწავლება არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. სოფელ გომის რვაწლიან სკოლაში მასწავლებელთა არაკოლეგიური მუშაობის შედეგად შეუწყნარებელი მდგომარეობაა — სწერდა რედაქციას სოფლკორი.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომს. რაიკომის მბეურომ განიხილა წერილში აღნიშნული ფაქტების სისწორე. გომის რვაწლიანი სკოლის დირექტორი მ. ჩიკვაიძე სკოლისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის განთავისუფლებულია დირექტორის მოვალეობისაგან, ხოლო განათლების განყოფილებას დაევალა მიიღოს ღონისძიებანი გომის რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური კადრებით განმტკიცებისათვის. პარტიის რაიკომმა ავრეთვე წინადადება მისცა განათლების განყოფილებას შეცვალოს რუსული ენისა და ლიტერატურის სუსტი მასწავლებლები კვალიფიციური კადრებით და უზრუნველყოს ამ საგნის სწავლების სერიოზული გაუმჯობესება.

აღვკვეთოთ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევები

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონია. მისი განუხრელად გატარება კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საწინდარია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საქართველოს კოლმეურნე გლეხობა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელების საფუძველზე დღითიდღე ახალ წარმატებებს აღწევს კოლმეურნეობათა საზოგადებრივი მეურნეობების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის ბევრ რაიონში მიმდინარე წელს მიღებულია მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა უხვი მოსავალი, მოპოვებულია სერიოზული წარმატებანი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში.

დიდი ყურადღება მიექცა ძვირფასი სამარცვლე და საკვები კულტურის — სიმინდის ნათესების გაფართოებას. კოლმეურნეობებმა წელს შარშანდელთან შედარებით 55 ათასი ჰექტარით მეტი სიმინდი დათესეს. ვადამდე შესრულდა პურისა და ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ კოლმეურნეობაში არღვევენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების დაწესებულ ვადებს, ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დამახინჯების ფაქტებს.

ცნობილია, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“ მკაცრად მოითხოვს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებისაგან საზოგადებრივი მიწების დატაცების აღმოფხვრას, საკოლმეურნეო დოვლათის გულისხმიერ მოვლას, სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეების მართვის დემოკრატიული საფუძვლების დაცვას. მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ამ გაფრთხილებიდან ყველგან არ გააკეთეს შესაფერისი დასკვნები. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარის ფრუნზეს სახელობის, მეორე სვირის ლენინის სახელობის, ძირულის კალინინის სახელობის და როდინაულის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობებში მიწათსარგებლობის დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობის შედეგად საკარმიდამოდან მიტაცებულია 18 ჰექტარი საზოგადოებრივი მიწა. ახალციხის რაიონის სოფელ აგარის საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობაში დაარღვიეს სასოფლო ადგილას მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთათვის საკარმიდამო ნაკვეთის გაცემის წესი — მოსამსახურეებს 0,15 ჰექტარის ნაცვლად დაუტოვეს 0,25 ჰექტარი მიწა.

შეუწყნარებელია, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა ურიგდება ასეთ დამახინჯებებს, არ იღებს ზომებს მათ გამოსასწორებლად, ხოლო მანქანა-ტრაქტორთა სადგურები არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან კოლმეურნეობებს მიწათსარგებლობაში წესრიგის დასამყარებლად.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში გამოვლინებულია არტელის საზოგადებრივი ქონების განიავების ფაქტები. აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში თავმჯდომარის ბარათებით კერძო პირებზე გაცემულია 900 კილოგრამზე მეტი ცემენტი (რომელიც განკუთვნილი იყო კოლმეურნეობაში სასილოსე კოშკების მშენებლობისათვის), 100 კილოგრამამდე ბენზინი, აგრეთვე ყველი და სხვა პროდუქტები. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საწყობის გამგე ბ. გოგიშვილი შინაურულად აწარმოებს საწყობიდან პროდუქტების გაცემას.

ზესტაფონის რაიონის ლენინისა და ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობებში საგრძნობი თანხებია გაცემული არსებული წესის დარღვევით, და ეს იმიტომ ხდება, რომ სარევიზიო კომისიები უმოქმედობას იჩენენ. სარევიზიო კომისია ვალდებულია საფუძვლიანად გაეცნოს გამგეობის მთელ საქმიანობას, წელიწადში ოთხჯერ მოახდინოს რევიზია. ამავე გარემოებით აიხსნება ისიც, რომ აღნიშნული რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ყურადღება არ ექცევა იმას, რომ კონკრეტულად დამნაშავე პირებმა არტელს აუნაზღაურონ მითვისებული ქონება და თანხები, წლების განმავლობაში ჭიანურდება უკანონოდ წაღებული ქონების დაბრუნება კოლმეურნეობებისათვის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონის პროკურატურა და სასამართლო ორგანოები სათანადო ქმედითობას ვერ იჩენენ საკოლმეურნეო საკუთრების დაცვის საქმეში. მაგალითად, სოფელ ძველ აბაშაში ვინმე ა. თოფურიას 1950 წლიდან მართებს კოლმეურნეობის 1.300 მანეთი. ეს საკითხი აბაშის სახალხო სასამართლოში 1953 წელს აღიძრა. სასამართლომ თოფურიას მიუსაჯა აღნიშნული 1.300 მანეთის გადახდა კოლმეურნეობის სასარგებლოდ. არსებობს აღმასრულებელი ფურცელიც, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა ჭიანურდება. აბაშის პროკურატურაში აღიძრა საკითხი სოფელ პირველ მაისში მცხოვრებ მოქალაქე ს. გოგიშვილის უკანონო მოქმედების შესახებ, რომელმაც მიიტაცა კოლმეურნეობის ერთი ჰექტარი მიწა, მაგრამ პროკურატურას მის წინააღმდეგ ზომები არ მიუღია იმ მოტივით, რომ დამნაშავე „მოხუცია“. ასეთი მოქმედება ზიანს აყენებს არტელის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას.

საკოლმეურნეო წესდება მოითხოვს შრომის სწორ აღრიცხვას, რადგან უამისოდ შეუძლებელია დავამყაროთ სრული წესრიგი კოლმეურნეობებში. მაგრამ ეს ასე როდი ესმით ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობას, აღრიცხვის დარგის მუშაკებს, ბრიგადირებს. შრომის აღრიცხვაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი გათანაბრება, ადგილი აქვს კოლმეურნეთა მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის შრომადღეების დიდი დაგვიანებით დარიცხვას. ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულის ბრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველ და მეხუთე ბრიგადებში ივნისისა და ივლისის თვეებში შესრულებულ სამუშაოებზე კოლმეურნეებს 8 აგვისტოსათვის არ ჰქონდათ დარიცხული შრომადღეები. ამ კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში შრომადღეების აღრიცხვის უწყისში აღნიშნული არ არის, თუ ცხოველთა რომელ ჯგუფს უვლიან, ან რაში ერიცხებათ შრომადღეები მომვლელებს.

ბევრ კოლმეურნეობაში განაგრძობენ შრომადღეების არასწორი ხარჯვის მავნე პრაქტიკას. ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულის ბრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში სასოფლო საბჭოს აღმასრულებელს წელს დარიცხული აქვს 300 შრომადღე, სოფელ ზედა საქარის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაში — 144 შრომადღე. სოფელ კვალითის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 60 შრომადღე დაუჯდათ ურმის თვლები. აბაშის რაიონის სოფლების ნოღოხაშის, სეფიეთის და დაბა აბაშის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში ადმინისტრაციული აპარატის შენახვაზე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გადახარჯულია 2.770 შრომადღე. საჭიროა ბოლო მოეღოს შრომადღეების ასეთ განიავებას, რომელიც ძირს უთხრის არტელის წევრთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებას და აუფასურებს შრომადღეებს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის მრავალ ფაქტს ვხვდებით კოლმეურნეებზე ნატურალური და ფულადი ავანსების გაკეთების საქმეში. ავანსების გაცემა არ ხდება გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით, რის გამო კოლმეურნეთა ერთ ნაწილზე ირიცხება გასული წლის დიდი დავალიანება, ხოლო მეორე ნაწილთან ჯერ კიდევ არ გაუსწორებიათ ანგარიში. ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შრომადღეებზე გასაცემი 22.840 კილოგრამი კარტოფილი და 5.358 კილოგრამი მარცვლეული არადანიშნულებისამებრ დახარჯეს. ასევე მოიქცნენ ამავე რაიონის სოფელ აგარის საბჭოთა არმიისა და სოფელ მინაძეების ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობები, რომლებიც ტექნიკური კულტურების მოყვანას მისდევენ, არტელის წესდების თანახმად კვიტანციით ერთხელ მაინც უნდა აწარმოებდნენ ავანსების გაცემას ჩაბარებული პროდუქციის ღირებულების 60 პროცენტის ოდენობით, მაგრამ მეტ წილ კოლმეურნეობებში ამ ღონისძიებას არ ატარებენ. ბევრ კოლმეურნეობაში არ აწარმოებენ აგრეთვე მეცხოველეობისა და მებოსტნეობის შემთსავლიდან ავანსების გაცემას სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მითითების თანახმად.

კოლმეურნეობათა გამგეობები და სარევიზიო კომისიები არასაკმაოდ იბრძვიან დებიტორული დავალიანების ლიკვიდაციისათვის, რის გამო ასეთი დავალიანება ზოგიერთი რაიონების კოლმეურნეობებში საგრძნობ თანხებს შეადგენს. მაგალითად, ზესტაფონის რაიონში იგი აღწევს 963.997 მანეთს, ახალციხის — 964.255 მანეთს, აბაშის რაიონში — 785.310 მანეთს.

ზოგან ჯერ კიდევ აქვს ადგილი სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეების მართვის დემოკრატიული საფუძვლების დარღვევას. ზოგიერთი თავმჯდომარე „ერთმმართველობს“, ბევრ საკითხს წყვეტს არტელის გამგეობისა და წევრთა საერთო კრების გვერდის ავლით, კრებებზე გამოაქვს არასწორი დადგენილებები.

ახალციხის რაიონის სოფელ აგარის საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობაში მ. დეკანოიძის, მ. ალექსიძის, გ. კუჭაძის და სხვათა ოჯახის წევრებს 1955 წლის განმავლობაში აუკრძალეს კოლმეურნეობაში მუშაობა მათი კომლებიდან თითო წევრის გარესამუშაოზე წასვლის გამო, ასეთ ფაქტებს სხვა რაიონებშიც ვხვდებით.

არტელის წესდების დამახინჯება უარყოფითად რომ მოქმედებს შრომის დისციპლინის და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებაზე, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტები: 1955 სამეურნეო წლის პირველ პერიოდში აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია კოლმეურნეთა 28 პროცენტს, ამ რაიონის სოფელ ქოლობნის კოლმეურნეობაში — 50,7 პროცენტს, ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულის კოლმეურნეობაში — 69,3 პროცენტს და ა. შ.

ზოგიერთი მტს-ი ჯერ კიდევ არასაკმაოდ ეხმარება კოლმეურნეობებს შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებასა და დისციპლინის განმტკიცებაში, ღრმად არ სწვდება საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკას, არ იღებს გადამწყვეტ ზომებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯებათა სალიკვიდაციოდ. ამ მხრივ კოლმეურნეობებს სუსტად ეხმარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროც.

ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მტს-ები მოვალენი არიან გააძლიერონ კოლმეურნეობებისადმი დახმარება შრომის სწორად მოწყობისა და საკოლმეურნეო წესდების განუხრელად დაცვის საქმეში. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სერიოზული ღონისძიებები უნდა განახორციელონ კოლმეურნეობათა საზოგადებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მ. ზარანდია,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საორგანიზაციო-საკოლმეურნეო საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე.

წერილები რედაქციას

რადიოფიკაციის საქმეს ყურადღება არ ექცევა

რადიოფიკაციის საქმეს შუახევის რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა. დღემდე რაიონის არცერთი სოფელი არ არის მთლიანად რადიოფიცირებული. დღვანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ რვა წლის წინათ შეიძინა რადიოდანადგარი და საკმაო რაოდენობით გაიყვანა წერტილებიც, მაგრამ აპარატურის მოუვლელობის გამო სადიო არ მუშაობს.

დიდი ხანი არ არის, რაც შუახევში მოეწყო რადიოდანადგარი. სამწუხაროდ, ის ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. ხშირად რადიო არ მუშაობს იმის გამო, რომ კვანძი შეფერებელ ბინაშია მოთავსებული და ზრუნველყოფილი არ არის ელექტროენერგიით, ხოლო აპარატურა მოუვლელია.

ადგილობრივი პარტიული და სტჰოს ორგანოები არ ზრუნავენ, რომ რადიოდანადგარისათვის სათანადო ბინა აშენახონ. ამ საკითხს საჭირო ყურადღებას არ აქცევენ კავშირგაბმულობის ჩარის საოლქო და შუახევის რაიონული კანტორები.

რაიონული ცენტრის მთელ რიგ დაწესებულებებში, აგრეთვე ახლომახლო სოფლებში ცხოვრებათა ბევრ ბინაში ჯერ კიდევ არ არის რადიოწერტილი, ხოლო სადაც არის, ისინიც გაუფორმებელია.

კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილების უფროსი ამხ. ხილაძე აცხადებს, მასალები არა მაქვს და ვისაც სურს წერტილ ჰქონდეს, მან თვითონ უნდა იზრუნოს საჭირო მასალების შოვისთვისო.

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო სათანადო ყურადღებას არ აქცევს სოფლების რადიოფიკაციის საქმეს.

საჭიროა სასწრაფოდ გამოსწორდეს ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

ჯ. დავითაძე,

შუახევის რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

კეთილმოუწყობელი ბაზარი

გორის ბამბეულის კომბინატის მუშათა დასბაში არის საკოლმეურნეო ბაზარი. იგი მეტად კეთილმოუწყობელია, ბრავად ასუფთავებს, მუდამ დანაგვიანებულია.

ბაზარში ერთადერთი ფარდულია, ისიც ძველი და შეუფერებელი. კოლმეურნეებს გასაყიდად გამოტანილი პროდუქტები მიწაზე უწყვიათ, არ არის სასწორები.

ფეიერთა დასბას კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო ბაზარი უნდა ჰქონდეს. ამით ერთნაირად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი როგორც კომბინატის დირექცია, ისე გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ზ. ქვრივიშვილი,
ვ. ჭილაშვილი,

ბამბეულის კომბინატის ოსტატის თანაშემწეები.

დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა

ხვალ, 8 ოქტომბერს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში იხსნება დავით გურამიშვილის საიუბილეო გამოფენა. რამდენიმე თვეა, რაც ამ გამოფენის მოწყობაზე მუშაობენ აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა და ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლები. გამოფენას მრავალი საინტერესო მასალა მოაწოდა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტმა, საჯარო ბიბლიოთეკამ, მირგოროდის სამხარეთმცოდნეო მუზეუმმა, მოსკოვის ისტორიის მუზეუმმა, სომხეთის მატენადარანმა.



გამოფენა იხსნება დავით გურამიშვილის წინასწარმეტყველური სიტყვებით: „ბნელში მდებარე გამოვედ გარე, ვითა დავლამდი, ისევ გავსთენდე“.

საექსპოზიციო დარბაზის პირველი ნაწილი დათმობილი აქვს მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დახასიათებას. ამ განყოფილების პირველი თემაა: ქართლის ეკონომიკა. სტენდის ცენტრალური ნაწილი უკავია ქართლის ეკონომიურ რუკას სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების ზონების აღნიშვნით. ცალკე სტენდზეა XVIII საუკუნის ქალაქების (თბილისი, გორი, ძოვრისი) ხედები და გეგმები.

ცალკე სტენდი აქვს დათმობილი XVIII საუკუნის ქართლის პოლიტიკურსა და ადმინისტრაციულ სურათს. ცენტრში მოთავსებული პოლიტიკური რუკა მოწმობს, თუ რარიგ შეიფეროდენ იყო ქართლი სპარსეთისა და ოსმალეთისაგან და რამდენად ძნელი იყო ამ პირობებში ქართლისათვის საკუთარი ეროვნული სახის შენარჩუნება. ამავე სტენდზე მოჩანს ქართლის ადმინისტრაციული რუკა. სათავადოებად დაყოფილი ქართლი. საყურადღებოა ქართლში ციხე-სიმაგრეთა განლაგების სქემა.

მდიდარი მასალით არის წარმოდგენილი ამავე განყოფილებაში მეცნიერება, ლიტერატურა, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, ბეჭდვითი საქმე. კედლებზე მოჩანს XVIII საუკუნის არქიტექტურულ ნაგებობათა ფოტოები და ქართულ ხელნაწერთა მინიატიურები.

ცალკე სტენდი აქვს დათმობილი პირველ ქართულ სტამბას (1709-1712 წ. წ.). სტენდზე მოჩანს პირველი ქართული სტამბის ფუძემდებლის ვახტანგ VI სურათი — გრავიურა ამავე სტამბაში დაბეჭდილი წიგნიდან და სხვა ექსპონატები.

პირველი განყოფილების უკანასკნელი თემაა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში. გამოფენის თემა იწყება მხატვრული სურათით: ვახტანგ VI იღებს რუსეთის ელჩს. სტენდის ცენტრში მოთავსებულია პეტრე პირველის პორტრეტი და გეგმა 1723 წლის სპარსეთში ლაშქრობისა, რომელშიც ვახტანგ მეექვსეს მონაწილეობა უნდა მიეღო თავისი ჯარით. საქართველოში თურქების შემოჭრამ და თბილისის აოხრებამ აიძულა ვახტანგი მრავალრიცხოვანი ამალით გახიზნულიყო რუსეთში.

ეს განყოფილება მთავრდება 1724 წელს რუსეთში გამგზავრებული ქართველების სიით.

გამოფენის მეორე განყოფილება იხსნება საგურამოსა და გორისუბნის ხედებით (გორისუბანი საგურამოს ის ნაწილია, სადაც დასახლებული იყვნენ გურამიშვილები). აქვეა უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრების დროს მიკვლეული საგურამოს ნასახლარები, აკვარელით შესრულებული მარანი, გურამიშვილთა ენეალოგია, გურამიშვილთა „სამკვლე“ მონასტრები — შიომღვიმე და ზედაზენი და ბოლოს XVII საუკუნის აბჯარი გურამიშვილების ოჯახიდან.

გამოფენის ექსპოზიცია მიჰყვება გურამიშვილის ცხოვრებას. მნახველის წინ იშლება ლამისყანის პეიზაჟები, ლამისყანის ციხე...

ცალკე სტენდი აქვს დათმობილი დავით გურამიშვილის ლეკებისაგან გატაცების ეპიზოდს. სტენდზე რამდენიმე მხატვრული სურათია, კერძოდ ლამისყანის წყალო და ირტოზის მთა, სადაც ჩასაფრებული იყვნენ მოთარეშე ლეკები. აქვეა რუკა, რომელზეც წითელი ზოლით აღნიშნულია სავარაუდო მარშრუტი ლამისყანიდან ოსოკოლამდე. რუკაზე წარწერილია დავითისვე სიტყვები: „გადამბატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია“.

გამოფენის მესამე განყოფილება ასახავს მოსკოვის ქართულ კოლონიას.

ვიტრინა და სტენდი დათმობილი აქვს არჩილის კოლონიის კულტურულ მოღვაწეობას მოსკოვში. სტენდზე მოთავსებულია მოსკოვის სტამბის ფირადი გრავიურა. ამ სტამბაში იბეჭდებოდა პირველი ქართული წიგნები. სტენდზეა მოსკოვის ქართული სტამბის შრიფტის ნიმუშები, რომლებიც არჩილმა ამსტერდამში დაამზადებინა. ვიტრინაშია მოსკოვის ქართული სტამბის ნაბეჭდი პროდუქცია, პეტრე პირველის უახლოესი თანამოღვაწის ალექსანდრე არჩილის-ძის (არტელერიის პირველი ფელდცეიხმეისტერის) შრომები და თარგმანები.

გვერდით სტენდებსა და ვიტრინებში წარმოდგენილია კოლონიის მეცნიერულ-ლიტერატურული და მთარგნელობითი საქმიანობის ნიმუშები. თარგმანებს შორის მოიპოვება როგორც რუსულიდან ქართულად, ისე ქართულიდან რუსულად თარგმნილი ძეგლები.

გამოფენის IV განყოფილება დათმობილი აქვს ქართული მუსიკისა ჯერ ასეულის, ხოლო შემდგომ პოლკის მოღვაწეობას. განყოფილების ექსპოზიციაში გამოტანილია მეტად საყურადღებო ახალი მასალები ამ პოლკში დ. გურამიშვილის მოღვაწეობის შესახებ.

გამოფენის V განყოფილება დათმობილი აქვს დავითის ცხოვრებას უკრაინაში. აქ ყურადღებას იპყრობს მხატვრულად შესრულებული ორი რუკა. პირველია უკრაინის ის ოლქები, სადაც ქართველები იყვნენ დასახლებულნი; მეორე რუკაზე აღნიშნულია ყველა ის პუნქტი, სადაც უცხოვრია ან გაუვლია დავით გურამიშვილს თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. რუკების ირგვლივ დაჯგუფებულია უკრაინის პეიზაჟები, კიევის, მირგოროდის, ზუბოვკისა და პოლტავის ხედები, გზა მირგოროდიდან ზუბოვკამდე. აქვეა ხედი მდინარე ხოროლისა მისი მომხიბლავი ნაპირებით, წისქვილის მაკეტი, გაკეთებული დ. გურამიშვილის ნახაზების მიხედვით.

განყოფილებაში რამდენიმე მხატვრული სურათია; დ. გურამიშვილი უკრაინელ გლეხებსა და კობზარებს შორის; დ. გურამიშვილი წერს „დავითიანს“; დ. გურამიშვილი უძღვნის „დავითიანს“ მირიან ბატონიშვილს. განყოფილება მთავრდება მხატვარ ლ. გუდიაშვილის დიდი ტილოთი — „დავით გურამიშვილის სიკვდილი“.

დარბაზის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას IV და V განყოფილებებს შორის წითელი ხავერდის ფონზე გამართულია დ. გურამიშვილის შემოქმედების სტენდი. სტენდის ცენტრში მოთავსებულია უჩა ჯაფარიძის მიერ შესრულებული დ. გურამიშვილის დიდი პორტრეტი. ვიტრინაში განლაგებულია „დავითიანის“ ავტოგრაფის მულაჟი და „დავითიანის“ გამოცემები ქართულ, უკრაინულ და რუსულ ენებზე. სტენდი მთავრდება საგურამოს პანოთი.

გამოფენის დანარჩენი განყოფილებები ეძღვნება უმთავრესად დავით გურამიშვილის შესწავლას. აქ წარმოდგენილია თემები: დავით გურამიშვილი და ხალხური ზეპირსიტყვაობა, გურამიშვილის შესწავლა XIX საუკუნეში, XIX საუკუნის ქართველი მწერლები დავით გურამიშვილზე, დავით გურამიშვილი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობასა და მწერლობაში.

გამოფენის უკანასკნელი განყოფილებაა დავით გურამიშვილის საიუბილეო დღეები. ამ განყოფილებას ამშვენებს დავით გურამიშვილის იმ ძეგლის მაკეტი, რომელიც უკრაინელმა ხალხმა დაუდგა დიდ ქართველ პოეტს.

საქართველოს მუზეუმის გამოფენაზე დავით გურამიშვილი წარმოდგენილია როგორც ხალხთა მეგობრობის სიბრძნელო.

ა. გარამიძე,
კ. მეტრეველი.

* * *

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

ახალი წიგნი დავით გურამიშვილზე

სახელგამმა გამოსცა გიორგი ნატროშვილის წიგნი „დავით გურამიშვილი“, რომელშიც ვრცლად არის მიმოხილული და გარჩეული პოეტის მდიდარი შემოქმედება. წიგნი შეიცავს შემდეგ თავებს: შესავალი; გურამიშვილის საფლავის ეპიტაფია; დაღესტნის ტყეე; მოსკოვის ცის ქვეშ; ბესარაბიიდან ჰელსინკამდე; ოდერის მიდამოებში; მირგოროდის მოქალაქე; „დავითიანის“ წყაროები; გურამიშვილის პოეზია და ხალხური გადმოცემა-ჩვეულებანი; გურამიშვილი და ანტიკური მსოფლიო; ორი მთავარი წყარო; ჰირი ქართლისა; სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება; დავით გურამიშვილი დაღესტანში.

წიგნი მხატვრულად კარგად არის გაფორმებული (მხატვარი ლ. ავალიანი), ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 60 გვერდს, ტირაჟი 5.000, ფასი 3 მან.

ბერლინში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სუფლი მთავრობის დელეგაციის ბერლინთან

ბერლინი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეექვსე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად დღეს ბერლინში ჩავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი (დელეგაციის მეთაური) და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი ს. მ. ტახომიროვი.

დელეგაციის შემადგენლობაში შედის აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ალმებით მორთულ ბერლინის შენეფელდის აეროდრომზე საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეეოლი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ვ. შტოფი, ო. ნუშკე, ჰ. შოლიი, ჰ. ლოხი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. მატერნი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები კ. შირდეკანი და ფ. ელსნერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ჰ. ვარნკე, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ჰ. ცილერი, ჰ. ვანდელი, ა. ნორდენი, კ. ჰაგერი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ. ლეინერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრები კ. ვახი, კ. ვესტფალი, ე. კრამერი, ხ. ბენიამინი, გ. რაიჰელტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

აეროდრომზე შემხვედრთა შორის იყვნენ გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის სარდლობის წარმომადგენლები, დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს შაპუხისმგებელი თანამშრომლები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის პეტრე ბორილას მეთაურობით, აგრეთვე საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა მ. ა. სუსლოვმა აეროდრომზე გააკეთა შემდეგი განცხადება:

ამხანაგო პრემიერ-მინისტრო, ამხანაგებო და მეგობრებო!

ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ გულთბილი მეგობრული შეხვედრისათვის, რომელიც საბჭოთა მთავრობის დელეგაციას მოუწყეთ, და საბჭოთა ხალხის სახელით მზურვალე მეგობრული სალამი გადაგცეთ თქვენი დედაქალაქის ბერლინის მცხოვრებლებს და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას.

ჩვენი დელეგაცია ბერლინში ჩამოვიდა იმისათვის, რომ თქვენთან ერთად აღნიშნოს ღირსშესანიშნავი თარიღი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეექვსე წლისთავი და აღნიშნოს თქვენი ხალხის წარმატებანი ახალი თავისუფალი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის მშენებლობაში.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარდა და წლითიწლობით მტკიცდება კარგი მეგობრული ურთიერთობა. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნების შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის, აგრეთვე მთელ მსოფლიოში მშვიდობის გაძმტკიცებისათვის.

კვლავაც გაწვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნების მეგობრობა, ამას მოითხოვს ჩვენი ხალხების სასიცოცხლო ინტერესები.

ერთხელ კიდევ გულითადად გმადლობთ გულთბილი მიღებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა მიიღო საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

ბერლინი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა 1955 წლის 5 ოქტომბერს თავის რეზიდენციაში ნიდერშენჰაუზენში მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეექვსე წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსული სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, აგრეთვე დელეგაციის წევრები: სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი ს. მ. ტახომიროვი და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

მიღებას დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეეოლი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეექვსე წლისთავი

1949 წლის 7 ოქტომბერს შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს შესანიშნავი თარიღი გერმანელი ხალხის ეროვნული დღესასწაულია. გერმანელ ხალხთან ერთად ამ თარიღს ზეიმით აღნიშნავს მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, როგორც ი. ბ. სტალინმა აღნიშნა, მოსრუნების პუნქტი იყო ევროპის ისტორიაში. მისი შექმნით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა გერმანელი ერის გაერთიანებისათვის, ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლას.

განვლილი ექვსი წლის მანძილზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს თავიანთი ქვეყნის განთავრებაში. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ლიკვიდირებულია სამხედროელო და საფინანსო მოხოპოლიების ბატონობა, მოისპო იუნკრული მიწათმოქმედება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები, რომლებმაც თავიანთ ხელში აიღეს ძალაუფლება, ენთუზიაზმით შეუდგნენ ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის განმტკიცებას, თავისუფალი, ბედნიერი, მშვიდობიანი ცხოვრების შენებლობას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასმა, რომელსაც ხელმძღვანელობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, მშრომელ გლეხობასთან ურღვევ კავშირში ერთიან ეროვნულ ფრონტად გაერთიანა გერმანელი ხალხის მთელი დემოკრატიული და პატრიოტული ძალები და სათავეში ჩაუდგა მათს ბრძოლას მილიტარიზმის აღორძინების აშშიშროების წინააღმდეგ, ბრძოლას ქვეყნის გაერთიანებისათვის, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის.

ყოველმხრივ ვითარდება და მტკიცდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკა. რესპუბლიკის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ პირველ ხუთწლიან გეგმას.

მრეწველობის პროდუქციის გამოშვება ხუთწლედის განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა. ახლა მრეწველობა ორჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე ომამდე — 1936 წელს. თუ 1936 წელს ქვანახშირის ამოღება იმ ტერიტორიაზე, რომელიც ახლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შედის, 97,5 მილიონ ტონას უდრიდა, 1955 წელს მან 200 მილიონ ტონას გადააჭარბა. ყოველწლიურად იზრდება მძიმე ინდუსტრიის დარგების განვითარების ტემპი. ამრიგად, გერმანელი ხალხის გულმოდგინე შრომით, რომელსაც უანგარო და ძმურ დახმარებას უწევენ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი მძიმე მრეწველობა. მტრების ყველა ცდამ — ხელი შეეშალათ რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციისათვის კრახი განიცადა. რესპუბლიკაში შექმნილია ისეთი დიდი სამრეწველო ობიექტები, როგორიც არის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი, მეტალურგიული კომბინატი „ვესტი“, მატიას რაკოშის სახელობის კოქსის ქარხანა და სხვ.

მრეწველობის განვითარების სწრაფ ტემპებს უზრუნველყოფს მასში სოციალისტური სექტორის გაბატონებული მდგომარეობა. მისი ხვედრითი წონა, კოოპერაციული მრეწველობის ჩათვლით, ამჟამად 90 პროცენტს აღემატება.

მრეწველობის განუხრელი აღმავლობის საფუძველზე ვითარდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა. დიდი ცვლილებები მოხდა სოფლად. აგრარული რეფორმა, რომლის შედეგად 7.160 მსხვილ მიწათმფლობელს 3.298.082 ჰექტარი მიწა ჩამოერთვა და 559.039 უმიწაწყლო გლეხსა და სოფლის მეურნეობის მუშას გადაეცა, ახალი ცხოვრების საბაყლი გახდა სოფლად.

აგრარული რეფორმით მიღებულ მიწებზე 210.276 ახალი გლეხური მეურნეობა წარმოიშვა. სოფლად გაჩაღდა გრანდიოზული მშენებლობა. გლეხებს, რომლებიც ახლად დასახლდნენ, მთავრობამ გრძელვადიანი კრედიტების სახით 610 მილიონი მარკა მისცა, ხოლო დახმარების სახით, უსასყიდლოდ—335 მილიონი მარკა.

ხელმძღვანელობენ რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ და მთავრობამ კურსი აიღეს მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე სოფლად. სახელმწიფომ მოაწყო 532 სახალხო მაძღარი, ხოლო მშრომელმა გლეხობამ, დარწმუნდა რა მსხვილი მექანიზებული მეურნეობის უპირატესობაში, სულ უფრო მეტი აქტივობით, სრული ნებაყოფლობით დაიწყო საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა. ახლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 5.400-ზე მეტი ასეთი კოოპერატივია. ერთიანი სოციალისტური პარტიისა და მთავრობის დახმარებით ისინი მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ ეკონომიურად, პოლიტიკურად და ორგანიზაციულად. მათ ჰექტარზე საშუალოდ 2 ცენტნერით მეტი ხორბალი მოჰყავთ, ვიდრე კულაკურ მეურნეობებს.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის ყველა პირობა არსებობს. შექმნილია 605 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომლებსაც 36 ათასი ტრაქტორი და 2.093 კომბაინი აქვთ. აგრეთვე ინდუსტრიულ მრეწველობას შესაძლებლობა აქვს განუწყვეტლივ მოამარაგოს სოფლის მეურნეობა და აღჭურვოს ის ყველა საჭირო მანქანებითა და მინერალური სასუქებით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუწყვეტელი ზრდა უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობას. 1954 წელს მოსახლეობის შემოსავალი 1953 წელთან შედარებით 12 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მუშათა და მოსამსახურეთა შემოსავალი—14 პროცენტით. სახელმწიფო დიდძალ თანხებს ხარჯავს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე. ამ მიზნით 1954 წელს 4-ჯერ მეტი დაიხარჯა, ვიდრე 1950 წელს. მარტო მიმდინარე წლის 7 თვეში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში 642 ათასმა კაცმა დაისვენა და იმკურნალა სახელმწიფოს ხარჯზე.

რესპუბლიკაში შემდგომი აღმავლობის გზით მიდის კულტურული მშენებლობა. საკმარისია ითქვას, რომ 20 უნივერსიტეტისა და უმაღლესი სკოლის ნაცვლად, რომლებიც 1950 წელს მუშაობდნენ რესპუბლიკაში, ახლა 46-ია. კულტურისა და მეცნიერების განვითარებაზე 1954 წელს 3,2 მილიარდი მარკა დაიხარჯა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მისი ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. მას სავაჭრო ურთიერთობა აქვს თითქმის 100 ქვეყანასთან. 20 კაპიტალისტურმა ქვეყანამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დადო გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმებანი. ამ გარემოებამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში მისი საგარეო ვაჭრობის მოცულობა ერთისამად გაზარდა. რესპუბლიკის მიღწევებმა განამტკიცეს მისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობა. გერმანელი ხალხი კიდევ უფრო გაიმაგრა პატივისცემისა და ნდობის დიდი გრძნობით თავისი მთავრობისადმი, რომელიც განუხრელად იცავს მუშათა კლასის, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის ინტერესებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც ცნეს საბჭოთა კავშირმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და ევროპისა და აზიის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა. მან საერთაშორისო ავტორიტეტი და ნდობა მოიპოვა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მჭიდრო მეგობრობით არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანასთან. საბჭოთა კავშირმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირველი დღიდანვე დაამყარა მასთან მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება.

ამ მიმართულებით დიდი წინგადადგმული ნაბიჯია მიმდინარე წლის სექტემბერში დადებული ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ.

ამ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფალია თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების, მათ შორის გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან ურთიერთობის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარების გადაჭრაში“.

ეს არის ნამდვილი სუვერენიტეტის მინიჭება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. ეს ანიჭებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას უფლებას თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო და საგარეო საქმეები.

ახალი ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ დიდი ისტორიული დოკუმენტია. ეს ხელშეკრულება ახალი ეტაპის დასაწყისია საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობაში. იგი იმ ურთიერთობის გამოვლინებაა, რომელიც დამყარებულია დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის სახელმწიფოებს შორის.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოლაპარაკების შედეგებს ევროპის ხალხები და ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ადამიანები მზურვალე მოწონებით შეხვდნენ. ისინი ამ დოკუმენტს აფასებენ როგორც მნიშვნელოვან წვლილს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, ერთიანი გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის საქმეში.

მშვიდობისმოყვარე ძალებს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ გერმანიაში სურთ იხილონ გაერთიანებული და დემოკრატიული გერმანია.

საბჭოთა კავშირი, რომელიც გერმანელი ხალხის ამ სურვილს ანგარიშს უწევს, ყოველთვის იყო და არის გერმანიის გაერთიანების მომხრე.

ამ მხრივ საბჭოთა კავშირმა უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები. საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, რომლის ინიციატორად საბჭოთა კავშირი გამოვიდა, ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და წინგადადგმული ნაბიჯია გერმანიის გაერთიანების გზაზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები, როგორც ამბ. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ. ეს უდიდესი ისტორიული მოვლენაა გერმანელი ხალხის ცხოვრებაში.

გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი არსებობის 6 წლის განმავლობაში მოპოვებული წარმატებით დაამტკიცა, რომ მისი სახით ევროპის ცენტრში არსებობს მტკიცე, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო — მშრომელთა სახელმწიფო, რომელიც მთელი გერმანიის გაერთიანების საფუძველს წარმოადგენს.

ეროვნული დღესასწაულის დღეს მთელი საბჭოთა ხალხი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები ახალ წარმატებებს უსურვებენ გერმანელ ხალხს თავისი ქვეყნის ერთიანობისათვის, ახალი, ბედნიერი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ზ. სიმონიშვილი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე საერთო პოლიტიკურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა კრიშნა მენონმა.

მან განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიით ქალაქ სანფრანცისკოში, რომელიც სხვა პირობებში შეიძლებოდა მხოლოდ ნამდვილი ფორმალობა აღმოჩენილიყო, „ახალი ერა დაიწყო". ეს იმიტომ მოხდა, თქვა მან, რომ ამ სესიაზე, რომელიც ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის წინ გაიმართა, ნათელი გახდა, რომ ამ ქვეყნების სახელმწიფოთა-მოღვაწეები ემზრობიან თანამშრომლობისათვის გზების ერთობლივ გამოძებნას.

მენონმა აღნიშნა, რომ მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირმა გაამართლა იმედები, რომლებიც გამოთქმული იყო სესიაზე სანფრანცისკოში, და რომ ამ თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს ამ ხალხთა კეთილი ნება, რომელთა წარმომადგენლებიც ისინი არიან.

შეეხო რა ზოგიერთი დელეგაციის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ საჭიროა გადაისინჯოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ინდოეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, მისი მთავრობის აზრით, წესდება შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ საერთო თანხმობით, უწინარეს ყოვლისა უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ყველა სახელმწიფოს თანხმობით. მაგრამ ახლა ჯერჯერობით წესდების გადასინჯვის შესაფერისი დრო არ არის. ინდოეთის დელეგაცია, დასძინა მენონმა, მხარს დაუჭერს ყოველ გადაწყვეტილებას, რომელიც ამ საკითხზე მიღებული იქნება საერთო თანხმობით, მაგრამ გაილაშქრებს წესდების ჩქარასინჯვად სპეციალური დიდი მექანიზმის შექმნის წინააღმდეგ.

გადაიჭრა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხზე, ინდოეთის დელეგატმა ასამბლეის ყურადღება მიაქცია იმას, რომ კაცობრიობის შემდეგი დღემდე წარმოდგენილი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს მთელ მსოფლიოს ისეთად, როგორიც იგი არის. მენონმა იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ თათბირზე ჟენევაში შედეგად მოჰყვება შეთანხმება ორგანიზაციაში იმ ქვეყნების უდიდესი უმრავლესობის მიღების შესახებ, რომლებიც მიღებას ელოდებიან.

ინდოეთის დელეგატი მიემხრო იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს უფრო მეტი წარმომადგენლობითი ხასიათი ჰქონდეს და რომ სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპის მიხედვით, რომელიც შეესაბამება წესდებით გათვალისწინებულ პრინციპს, მსოფლიოს ყველა ნაწილი წარმოდგენილი იყოს უფრო სამართლიანად.

ინდოეთის წარმომადგენელმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას ეკონომიურ დარგში. კერძოდ, იგი მიემხრო იმას, რომ შეიქმნას სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიური განვითარების სპეციალური საერთაშორისო ფონდი და ყველა ქვეყანას მოუწოდა გააფართოონ ეკონომიური თანამშრომლობა.

ინდოეთის დელეგატმა მხარი დაუჭირა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო საგენტოს შექმნის იდეას და ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი საგენტო არ უნდა იყოს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გერი", არამედ უნდა იყოს „მეტად მჭიდროდ დაკავშირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან". მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენება, თქვა მენონმა, ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მან არ გამოიწვიოს უფრო განვითარებული სამრეწველო ქვეყნების მიერ იმ ქვეყნების კოლონიური ექსპლოატაცია, რომლებსაც ატომის ნედლეული აქვთ.

გადაიდგა რა განიარაღების პრობლემაზე, მენონი დაეთანხმა იმ დელეგატების აზრს, რომლებმაც ამ პრობლემის ახლანდელი მდგომარეობა დაახასიათეს, როგორც უფრო დამძიმედებული. ამ საკითხზე, განაცხადა მან, შემოტანილ იქნა სხვადასხვა წინადადება, და ინდოეთის დელეგაცია ვერ ხედავს იმის მიზეზს, თუ რატომ არ შეიძლება ყველა ისინი მოწონებულ იქნას, თუნდაც შესაძლებელია ცვლილებებთან, როგორც განიარაღებისაკენ გადადგმული ნაბიჯები. მენონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განიარაღების პრობლემის გადაჭრის ყოველგვარი დაგვიანება მხოლოდ დამატებით სიძნელეებს შექმნის.

ინდოეთი, განაცხადა მან, კვლავაც მტკიცედ მოითხოვს ატომური იარაღის სრულ აკრძალვას. საბუთი, რომლის ძალითაც ეს იარაღი თითქოს შეიძლება გამოყენებულ იქნას „აგრესორის წინააღმდეგ თავდაცვის მიზნით", ხელს ვერ შეუწყობს საერთაშორისო მშვიდობას.

ინდოეთის დელეგატმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ საფრანგეთის დელეგაციამ ასამბლეის გადწყვეტილების პასუხად — განხილის ალჟირის საკითხი, ასამბლეა დატოვა. მან იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთი გადასინჯავს თავის პოზიციას.

ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა აზრი გამოთქვა, რომ გერმანიის ერთიანობა არ შეიძლება მიღწეულ იქნას გერმანიის ერთ ან მეორე ნაწილში არსებული ხელისუფლების ცნობით და რომ ანგარიში უნდა გაეწიოს როგორც ერთი, ისე მეორე ნაწილის არსებობის ფაქტს. შესაძლებელია უკეთესი იქნებოდა, თქვა მან, რომ მთა საერთო ენა გამოერანთა.

გადაიდგა რა შორეული აღმოსავლეთის პრობლემებზე, მენონმა განაცხადა, რომ მის მთავრობას „სეატო არ მიაჩნია ამ რაიონში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში შეტანილ წვლილად".

მენონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოჩინეთის პრობლემების წარმატებით გადწყვეტისათვის საჭიროა, რომ ჟენევის შეთანხმება ამ საკითხზე შესრულდეს მისი შინაარსისა და ფორმის ზუსტი შესაბამისობით.

მან იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის წარმატებით დამთავრდება.

მენონმა მოუწოდა ყველა ქვეყანას გააკეთონ ყოველივე შესაძლებელი, რათა გააადვილონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოება. ერთგვარი პროგრესი ამ დიდი სახელმწიფოების ურთიერთობაში, თქვა მან, უკვე მიღწეულია. ინდოეთი დარწმუნებულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას სურს მშვიდობიანად გადაჭრას ყველა სადავო საკითხი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მათ შორის კუნძულ ტაივანის საკითხიც. ყველა ამ საკითხის გადაჭრა შეიძლება მიღწეულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოლაპარაკების გზით.

დასასრულ მენონმა დელეგატების ყურადღება მიაქცია იმ წინადადებებს, რომლებიც ინდოეთის დელეგაციამ წარსულ სესიაზე შეიტანა, და რომლებშიც განიარაღების შესახებ შეთანხმებათა პირველ ნაბიჯად დასახული იყო გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, აგრეთვე ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა. განიარაღება ან შეიარაღების შეზღუდვა კარგი საქმეა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის მშვიდობის დამყარებისათვის. საჭიროა აიკრძალოს თვით ომი, როგორც ასეთი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზანი უნდა იყოს ყველა ქვეყნის მშვიდობისა და თანამეგობრობის მიღწევა.

ინდოეთის დელეგაციის მეთაურის გამოსვლით დამთავრდა საერთო დისკუსია, რომლის დროს 45 ქვეყნის წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები საერთო და რეგიონალურ საერთაშორისო საკითხებზე.

ყველა ორატორი განუხრელად აღნიშნავდა, რომ გენერალური ასამბლეის X სესია დაიწყო ახალ, უფრო ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაში. განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში ისეთი მოვლენების მნიშვნელოვან როლს, როგორიც იყო ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი, ახლისა და ამერიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენცია, აგრეთვე ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა საერთაშორისო კონფერენცია. ბევრ სიტყვაში გამოთქმული იყო იმედი, რომ ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის მომავალი თათბირი ჟენევაში ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების და, განსაკუთრებით, განიარაღების პრობლემის მოწესრიგების გზაზე. „პატარა ქვეყნების" ბევრი წარმომადგენელი მადლობას უძღვნიდა დიდ სახელმწიფოებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში მათი ინიციატივისათვის, მაგრამ ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა, რათა გაერთიანებული ერების მთელი ორგანიზაცია და ყველა მისი წევრი მოქმედებდნენ თანამშრომლობის სულისკვეთებით, სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგების სულისკვეთებით, „ჟენევის სულისკვეთებით".

ბევრ კონკრეტულ პრობლემაზე გამოსულ დელეგატთა თვალსაზრისი მნიშვნელოვნად განირჩეოდა, მაგრამ სადავო საკითხებშიც კი დელეგაციების პოზიციები ამ სესიაზე ჩამოყალიბებული იყო უფრო დამშვიდებული საქმიანი ტონით. მხოლოდ ქვეყნების ერთი ჯგუფის ცდამ — არ დაეშვა, რომ გენერალურ ასამბლეას განეხილა კოლონიური საკითხები. მწვავე კამათი გამოიწვია როგორც გენერალურ კომიტეტში, ისე პლენარულ სხდომებზე.

* * *

პოლიტიკური დისკუსიის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებენ გენერალური ასამბლეის კომიტეტები. ზოგიერთმა მათგანმა, კერძოდ, მეიერვეიბის კომიტეტმა და სპეციალურმა პოლიტიკურმა კომიტეტმა, უკვე დაიწყეს მუშაობა. მუშაობას იწყებს აგრეთვე პოლიტიკური კომიტეტი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ბერლინში

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სუსლოვის მეთაურობით, რომელიც ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მეექვსე წლისთავის დღესასწაულზე, მოისმინა მოცარტის ოპერა „დონ ჟუანი" გერმანიის სახელმწიფო ოპერის თეატრში უნტერ დენ ლინდენზე.

სპექტაკლზე იყვნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მეთაურები და წევრები, რომლებიც ბერლინში ჩამოვიდნენ, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

სტუმრებთან ერთად თეატრში იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტეო�, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ბოლცი, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრები.

ფინეთის სეიმმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირ-ფინეთის შეთანხმებანი

ჰელსინკი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ფინეთის სეიმმა განიხილა მთავრობის წინადადებანი, რომ მოწონებულ იქნას ოქმი სსრ კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ და შეთანხმება სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა უარი თქვა სამხედრო-საზღვაო ბაზად პორკალა-უდის ტერიტორიის გამოყენების უფლებაზე და ამ ტერიტორიიდან საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ, რომლებიც ხელმოწერილია მოსკოვში 1955 წლის 19 სექტემბერს.

სეიმმა ერთსულოვნად მოიწონა მთავრობის წინადადებანი.

ლონდონში ჩავიდა საბჭოთა რადიომაუწყებლობის მუშაკთა დელეგაცია

ლონდონი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ლონდონში ჩამოვიდა საბჭოთა რადიომაუწყებლობის მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ზ. ვ. თოფურია. დელეგაცია მოიწვია ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციამ. კორპორაციის მუშაობის გასაცნობად და პირადი კონტაქტის დასამყარებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია იუგოსლავიაში

ბელგრადი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). 5 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ორ ჯგუფად გაიყო და დაათვალიერა ვინჩის ბორის კიდრიჩის სახელობის ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტი ბელგრადის ახლოს და ელექტრონიკის ინო ლონა რიბარის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა.

დელეგაციის ნაწილს, რომელმაც ატომგულის ფიზიკის ინსტიტუტი დაათვალიერა, ახლდა იუგოსლავიის სახალხო სკუპშჩინის დეპუტატი, საკავშირო ვეჩეს საგარეოპოლიტიკური საკითხების კომიტეტის მდივანი ლაზარ მოსოვი. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ ინსტიტუტის დირექტორი გოიკო პავიჩიჩი და ინსტიტუტის სხვა მეცნიერი თანამშრომლები. დელეგაციის წევრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს იმ წარმატებებისადმი, რომლებსაც ინსტიტუტის ახალგაზრდა კოლექტივმა მიაღწია.

უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეორე ნაწილი დელეგაციის ხელმძღვანელის ა. პ. ვოლკოვის მეთაურობით და იუგოსლავიის სახალხო სკუპშჩინის დეპუტატისა და კომიტეტის თავმჯდომარის რაია ნედელკოვიჩისა და იუგოსლავიაში საბჭოთა კავშირის ელჩის ნ. პ. ფირიუბინის თანხლებით გაემართა ელეზნიკაში, რათა გასცნობოდა მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანას, რომელიც ატარებს იუგოსლავი ახალგაზრდობის ხელმძღვანელის ივო ლონა რიბარის სახელს. ამ ქარხნის მშენებლობაში, რომელიც 1947 წლის შუა რიცხვებში დაიწყო, მონაწილეობდა 16 ათასამდე იუგოსლავიელი ქალიშვილი და ჭაბუკი. ბევრი მათგანი სამუშაოდ დარჩა ქარხანაში და ახლა შეადგენენ კვალიფიციურ მუშათა ბირთვს. ქარხანა წარმოიშვა ცარიელ ადგილზე და უკვე 1948 წლის დამდეგიდან დაიწყო სამრეწველო პროდუქციის გამოშვება.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს შეხვდნენ მუშათა საბჭოს თავმჯდომარე ივიკა კოსტადინოვიჩი, სამმართველოს კომიტეტის თავმჯდომარე მილორად კუკოვიჩი, ქარხნის დირექტორი ინჟინერი ვლადო მირკოვიჩი და სხვები.

გაიმართა მეგობრული საუბარი. ქარხნის ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს ამ საწარმოს მუშაობაზე, რომელიც უშვებს მძიმე ჩარხებს, მოწყობილობას ბურღვისათვის, მეტალურგიული მრეწველობისათვის, ხოლო უკანასკნელ დროს — საკარუსელო ჩარხების სერიას. ქარხნის საერთო პროდუქცია ღირებულებითი გამოსახულებით 1950 წლიდან გაიზარდა ერთბორად და უფრო მეტად, 2 მილიარდიდან 5,2 მილიარდ დინარამდე წელიწადში. ქარხანასთან არის სამრეწველო სკოლა, რომელიც ამზადებს კვალიფიციურ მუშათა კადრებს.

გაცხოველებული საუბარი დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა. საბჭოთა დეპუტატებს აინტერესებდათ, როგორ მუშაობს მუშათა საბჭო, როგორ ირჩევენ მას საწარმოში, როგორია მისი დამოკიდებულება დირექტორთან, აინტერესებდათ აგრეთვე მუშათა საბჭოს უფლებები და მოვალეობანი, პარტიული ორგანიზაციისა და კომუნისტთა კავშირის წევრების როლი საწარმოს ცხოვრებაში.

შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ქარხნის სამრეწველო სკოლა და ქარხნის საამქროები. ქარხნის დათვალიერებისას არაერთხელ გაიმართა საუბარი დეპუტატებსა და ქარხნის მუშებსა და ოსტატებს შორის.

დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მიდის ბელგრადიდან იუგოსლავიაში სამოგზაუროდ.

საბჭოთა კავშირის დახმარება წყალდიდობით დაზარალებული მექსიკის მოსახლეობისათვის

ამ წლის სექტემბერში მექსიკას გადაუარეს ქარიშხალმა და კოკისპირულმა წვიმებმა, რომლებმაც წყალდიდობა და დიდი ნგრევა გამოიწვიეს. ათეულ ათასობით მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პ. დ. დივაკოვმა მექსიკის წითელი ჯვრის თავმჯდომარეს ალეხანდრო კიხანოს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„წითელი ჯვრის მილიონობით წევრთა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს მექსიკელ ხალხს იმ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რომელიც მექსიკას ეწია. მექსიკის წყალდიდობით დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 100 ათასი პესო გამოჰყო".

სსრ კავშირის ელჩმა მექსიკაში ა. გ. კულაევკოვმა ამ წლის 4 ოქტომბერს ინახულა მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გოროსტასა, საბჭოთა ხალხის თანაგრძნობა გამოუცხადა მექსიკელ ხალხს იმ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით, რომელიც მას ეწია და სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის სახელით გოროსტასს გადასცა 100 ათასი პესოს ჩეკი მექსიკის წყალდიდობით დაზარალებული მოსახლეობისათვის.

მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გოროსტასამ განაცხადა, რომ მექსიკის მთავრობა დიდად აფასებს ამ კეთილშობილურ ქესტს, და მთავრობის სახელით მადლობა გადუხადა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირს გაწეული დახმარებისათვის. (საკდესი).

მთელი მსოფლიოს დედაქალაქთა მერების ყრილობა

ფლორენცია, 4 ოქტომბერი. (საკდესი). ფლორენციაში განაგრძობს მუშაობას მთელი მსოფლიოს დედაქალაქთა მერების ყრილობა.

ყრილობის სხდომაზე 4 ოქტომბერს პირველი გამოვიდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფოლკი. იგი მიესალმა ყრილობის მონაწილეთა, ხაზგასმით აღნიშნა რა იმ წვლილის დიდი მნიშვნელობა, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოს დედაქალაქებს შეაქვთ მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა.

პარიზის მუნიციპალური საბჭოს ვიცე-თავმჯდომარემ დე ვერიკურმა შეიტანა წინადადება დაარსდეს საერთაშორისო პრემია, რომელიც ყოველ სამ წელიწადში მიენიჭება დედაქალაქებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში.

პრაღის პრომატორმა სვობოდამ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ მთელი მსოფლიოს დიდი ქალაქების თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის მისაღწევად.

ბონის ობერ-ბურგომისტრმა ბუზენმა, კერძოდ, განაცხადა, რომ ადენაუერის ამასწინანდელმა გამგზავრებამ მოსკოვში უკვე მარტო ბონის მეოხებით, რომ იგი მოხდა, შემდგომი ნაყოფიერი შეხვედრების იმედები წარმოშვა.

ქ. ტორინის სახალხო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ სინამ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა ალბანელი ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი და მისი სურვილი დამყაროს მეგობრული ურთიერთობა მსოფლიოს ყველა სხვა ხალხთან.

ბელგრადის საქალაქო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ მინიჩმა აღნიშნა, რომ მხოლოდ მშვიდობისა და სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ვითარებაში ქალაქებს შეუძლიათ თავისუფლად განვითარდნენ და გაუმჯობესონ მოსახლეობის კეთილდღეობა.

მ. ა. იასნოვის გამოსვლა დედაქალაქთა მერების ყრილობაზე ფლორენციაში

ფლორენცია, 5 ოქტომბერი. (საკდესი). მსოფლიოს დედაქალაქთა მერების ფლორენციის ყრილობის გუშინდელ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა. მ. ა. იასნოვმა მადლობა გადაუხადა ფლორენციის მერს ლა პირას დედაქალაქთა მერების ყრილობის მოწვევაში ინიციატივის გამოჩენისათვის და ხაზგასმით აღნიშნა ყველა ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი.

მას, ვისაც მართლა სურს თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის სიკეთე და აყვავება, თქვა მ. ა. იასნოვმა, არ შეუძლია თავისი ხმა არ შეუერთოს მოთხოვნას — მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის დამყარების გზით, მიუხედავად მათი სოციალური წყობილებისა.

საბჭოთა მთავრობა, განაგრძო მ. ა. იასნოვმა, რომელიც ისწრაფვის უზრუნველყოს თავისი ხალხის მშვიდობანი არსებობა, თავის ურთიერთობას სხვა სახელმწიფოთა მთავრებებთან მუდამ აშენებდა და აშენებს თანასწორობის აღიარების, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემის სფეროებზე. საბჭოთა კავშირი მუდამ ესწრაფვოდა მშვიდობას, რადგან მხოლოდ მშვიდობას შეუძლია შექმნას ხალხის აყვავებისა და კეთილდღეობის, მისი ბედნიერებისა და უფლებებისა და განუწყვეტლივ მზარდ სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭირო პირობები, რაც ძირითადი კანონია, რომელსაც ექვემდებარება საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საქმიანობა.

ომისშემდგომ 10 წელიწადში, განაცხადა მ. ა. იასნოვმა, მოსკოვის საქალაქო მეურნეობის რეკონსტრუქციაში დაბანდებულია 30 მილიარდ მანეთზე მეტი, აგებულია 5 მილიონ 700 ათასი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი, 494 სკოლა და ბევრი სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა. წელს მოსკოვის მცხოვრებნი მიიღებენ 1 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტ ახალ საცხოვრებელ ფართობს, 43 სასკოლო შენობას, საავადმყოფოებს 2,5 ათასი საწოლით.

მნიშვნელოვნად ფართოვდება საქალაქო კომუნიკაციებისა და გზების ქსელი.

მ. ა. იასნოვმა აღნიშნა, რომ მოსკოვი იძლევა მშვიდობიანი ძიზნით ატომის ენერგიის გამოყენების ბრწყინვალე მაგალითს. მის ახლოს აშენდა და უკვე მესამე წელიწადია სამრეწველო დენს იძლევა მსოფლიოში ატომის ენერგიის პირველი ელექტროსადგური.

მოსკოვის მცხოვრებნი ერთსულოვნად ისწრაფვიან თავიდან აიცილონ ახალი ომის საფრთხე, თქვა მან. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მოსკოვსა და მის გარეუბნებში ხელი მოაწერა 7.051.525 კაცმა.

შემდეგ მ. ა. იასნოვმა დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

მ. ა. იასნოვმა თავისი სიტყვის დასასრულს თქვა, რომ არიან ისეთი ძალები, რომლებიც ხელს უშლიან და კვლავაც შეეცდებიან შეუშალონ ხელი დაძაბულობის შენელებას. ეს მოითხოვს გამძლეობასა და სიმტკიცეს ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლაში, განაგრძო მან, და ამ ყრილობას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რამდენადაც ამ კონფერენციაზე ჩვენ წარმოვადგენთ ჩვენი ქვეყნების დედაქალაქებს, ისტორიულად შექმნილ პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრებს, რომლებშიც თავმოყრილია ჩვენი სახელმწიფოების დიდებისა და სიამაყის ხალხებისათვის ძვირფასი რელიკვიები. ამასთან აქ წარმოდგენილი ზოგიერთი დედაქალაქის მოსახლეობა უდრის, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში სჭარბობს მთელი ქვეყნების მოსახლეობას. ყოველივე ეს არა მარტო უფლებას გვაძლევს, არამედ კიდევაც გვავალებს ავიმაღლოთ ხმა მშვიდობის დასაცავად. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უსათუოდ შეეტანთ დიდ წელილს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, თუ განვავითარებთ და განვამტკიცებთ ამ ყრილობაზე შექმნილ მეგობრობისა და თანამშრომლობის კავშირს ჩვენს ქალაქებს შორის, და ჩვენი ყრილობის სახელით, ჩვენი ქალაქების სახელით განვაცხადებთ, რომ მზად ვართ ვიბრძოლოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ემილ გილელსის გამოსვლა ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ემილ გილელსი წარმატებით გამოვიდა ნიუ-იორკში საკონცერტო სეზონის გახსნაზე ფილადელფიის სიმფონიურ ორკესტრთან, რომელსაც ი. ორმანდი დირიჟორობს.

საკონცერტო დარბაზი „კარნეგი ჰოლი" გაჭედილი იყო ამერიკელი ხელოვნების ოსტატებით, ქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებით, მუსიკის მოყვარული ნიუიორკელებით. კონცერტს დაესწრნენ აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ვ. ვ. კუზნეცოვი, უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ლ. ფ. პალამარჩუკი, ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური კ. ვ. კისელიოვი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური მ. ნამეროვსკი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინი, გენერალური ასამბლეის X სესიაზე საბჭოთა დელეგაციის წევრები ი. ა. მალიკი, ა. ა. სობოლევი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე ი. ს. ჩერნიშევი.

გილელსმა დიდი ოსტატობით შეასრულა ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. ემილ გილელსმა შეასრულა აგრეთვე ბახ-ზილოტის პრელუდია და მენდელსონის სკერცო.

მსმენელებმა საბჭოთა პიანისტი დაჯილდოვეს მქუხარე ტაშით, შეძახილებით „ბის", „ეაშა".

საბჭოთა ტენისტების საერთაშორისო შეჯიბრობაში-ბულგარეთი

5 ოქტომბერს მოსკოვიდან გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში გაემგზავრა საბჭოთა ტენისტების გუნდი. მის შემადგენლობაში არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი, არაკადი ვორობიოვი, ტროფიმე ლომაკინი, ანდონე უდოდოვი, რაფაელ ჩიმოშკანი, სპორტის ოსტატები ვლადიმერ სტოგოვი, ნიკოლოზ ბოტალიოვი და სხვები. საბჭოთა სასპორტო დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. პესლიაკი.

საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სამძიძეთა აუზაში მსოფლიო პირველობაზე შეჯიბრებაში, რომელიც 11-16 ოქტომბერს გაიმართება მიუნხენში. (საკდესი).

სსრ კავშირის თასზე

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა (მოსკოვი) და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც არმიელმა ფეხბურთელმა დინამოელთა კარში გაიტანეს. აღსანიშნავია, ე. საარის (ტალინი) არაზუსტი მსაჯობა. დინამოელებმა მატჩი გაპროტესტეს.

ქალთა საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირი

5 ოქტომბერს გათამამდა დაუმთავრებელ პარტიები.

თამაშის განუახლებლად ყამზე შეთანხმდნენ ჩეეხოსლოვაკი (პოლანდია) და რუბცოვა (სსრ კავშირი). სსრ კავშირის ჩეპჩიონმა ვოლპერტმა დაამარცხა გოლური (პოლონეთი).

საბჭოთა მოჭადრაკეების ბორისენკოსა და გურფინკელის პარტიაში 43-ე სვლაზე გურფინკელმა თავი დამარცხებულად ცნო.

ეტლების ენდშპილში თავისი შანსი ვერ გამოიყენა იგნატიევამ (სსრ კავშირი) ხეოვანკერკთან პარტიაში. 46-ე სვლაზე პარტნიორმა ყაიმზე შეთანხმდნენ.

ზვორიკინამ (სსრ კავშირი) დაამარცხა გოლური (პოლონეთი).

გათამამდა აგრეთვე მეორე ტურის გამოტოვებული ბოდო დე მოსინინის (არგენტინა) ბოშოდე დე ლილანის (საფრანგეთი) პარტია. ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო. ფრანგი მოჭადრაკე ქალის უპირატესობით. (საკდესი).

თემატური საღამო

7 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინ